შემოსავლის ანგარიშგებაში. ცვეთა ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ქვემოაღნიშნული კატეგორიების აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობა	50
სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები	5-10
ალჭურვილობა და ინვენტარი	10
სხვა	5
მიწა	არ ერიცხება

აქტივებს ცვეთა ერიცხებათ მათი ექსპლუატაციაში მიღების თარიღიდან. თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გაყიდვის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გაყიდვიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება წმინდა გასვლის ამონაგებსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

იჯარა

ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპანია აფასებს, ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ თუ ხელშეკრულება გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული აქტივის გაკონტროლების ან გამოყენების უფლებას ანაზღაურების სანაცვლოდ.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდების და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის, და ასევე

კომპანია აღრიცხავს აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად).

აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება იჯარის ვადას ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლესი ვადის განმავლობაში:

შენობა-ნაგებობები 1-3 წელი

თუ იჯარის ვადის ბოლოს საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება კომპანიას გადაეცემა, ან ხარჯი ასახავს შესყიდვის ოფციონის აღსრულებას, ცვეთა გამოითვლება აქტივის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მეშვეობით. აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება გაუფასურებას.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები იჯარის წამახალისებელი გადახდებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები ასევე შედგება შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასისგან, რომლის კომპანიის მიერ გამოყენების გონივრული რწმენა არსებობს, და იჯარის შეწყვეტისთვის გადახდილი ჯარიმებისგან, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გაიწევა მარაგების შესაქმნელად), რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება საიჯარო გადახდები (მაგ. ცვლილება სამომავლო გადახდებში მათი ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ან ცვლილება შედის საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევის უფლების შეფასებაში. კომპანიის საიჯარო ვალდებულებები შესულია სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში და საიჯარო ვალდებულების გრძელვადიან ნაწილში.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი სატრანსპორტო საშუალებებისთვის და სამედიცინო მოკლევადიანი აპარატურის იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). ეს ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასაც.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშებაში აისახება ამონაგების ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე. აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულებით დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მაქსიმუმ სამი თვის ვადის მოკლევადიან ანაზღაურებს, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, დაუფარავი საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით, ვინაიდან ისინი მიიჩნევა კომპანიის ნაღდი ფულის მართვის განუყოფელ ნაწილად.

მარაგი. კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შემენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალებს. კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა სახის მარაგის ჩამოწერა ხორციელდება ფიფო (FIFO) მეთოდით.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების

გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული საგადასახადო ვალდებულება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

ამონაგები, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

- ▶ როდესაც მოთხოვნების და ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახადელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა ვალდებულებების ან სხვა მოთხოვნების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

უცხოური ვალუტები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა. გარიგებები და ნაშთები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსებით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივების, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) საწყისი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანიამ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან

კომპანია ამონაგებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. კომპანიის მიერ კლიენტებისთვის გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ

სარგებელს. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული ამონაგები მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ▶ ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სახელმწიფოსგან – კომპანია სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაქტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

- ▶ ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სადაზღვევო კომპანიებისგან – კომპანია სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაქტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

- ▶ ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები – კომპანია თანაგადახდიდან მიღებულ და სხვა ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კომპანიის მიერ დამტკიცებული ფასების შესაბამისად. გაყიდვებიდან შემოსავალი მიიღება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით. სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული სხვა ამონაგები მოიცავს ამონაგებს მუნიციპალიტეტებიდან და სხვა საავადმყოფოებიდან, რომლებთანაც კომპანიას სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაიწია მომსახურება და იანგარიშება სახელშეკრულებო ტარიფების მიხედვით.

ამონაგები წარმოდგენილია კორექტირებების და ფასდაკლებების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც კონტრაქტებთან (ძირითადად, სახელმწიფოსთან) დეტალური ანგარიშების შეჯერების შედეგად წარმოიშობა. ანგარიშფაქტურების მოსალოდნელი კორექტირებები ფასდება კონტრაქტის დასაწყისშივე. პოტენციური მომავალი კორექტირებებისა და ფასდაკლებების შეფასება ხდება სტატისტიკურად საშუალო კორექტირების განაკვეთის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება იმ ანგარიშფაქტურების მთლიანი ოდენობების მიმართ, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დამტკიცებული სახელმწიფოს მიერ. კომპანიის მთლიანი ამონაგები (კორექტირებებისა და ფასდაკლებების გამოქვითვამდე) ეყრდნობა ოფიციალურ ანგარიშფაქტურებს, რომლებიც წარდგენილია მომხმარებლებისთვის და ოფიციალურად მიღებულია მათ მიერ (სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიები, პროვაიდერი კლინიკები და ფიზიკური პირები), და დანარიცხებს გაწეულ მომსახურებაზე, რომლებისთვისაც ანგარიშფაქტურები ჯერ არ გამოწერილა.

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალური მომსახურებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. როდესაც კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

დასაქმებულთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიაში დასაქმებულთა მიერ.

ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3. სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას. ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურება

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული მომხმარებლების ანგარიშების ამოღება. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მისაღები ანგარიშები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის მთავარი კრიტერიუმია მომხმარებლების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი,

რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). მომხმარებლების მიერ მიმდინარე და ძველი დავალიანების დაფარვის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების განაკვეთი, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს. თუ ასეთი მტკიცებულება არ არსებობს, შესაბამისი მისაღები ანგარიშები ფასდება კოლექტიურად, როგორც კარგი ხარისხის მქონე, მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონე მისაღებ ანგარიშებში, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, რაც ფაქტობრივად გულისხმობს ვადაგადაცილებული დღეების არაარსებით ოდენობას.

4. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას. ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით.

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

ბ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბას 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის გვერდი 12-34 მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი და მისი შვილობილი კომპანია კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისთვის (ლარში) 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება) საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება. შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია

დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

ხელმძღვანელობის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას/ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	სამედიცინო დანადგარები	აღჭურვილობა და ინვენტარი *	სხვა	სულ
31.12.2021	3,490	30,109	4,203	2,055	69	39,926
შესყიდვა/კაპიტალიზება		9	101	402	21	533
გადაფასება	-	-	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა			(1)	(2)	(11)	(14)
31.12.2022	3,490	30,118	4,303	2,455	79	40,445
შესყიდვა/კაპიტალიზება			9	649	760	1,418
გასვლა/ჩამოწერა				(7)	(176)	(183)
გასვლის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა				(40)		(40)
31.12.2023	3,490	30,118	4,312	3,057	663	41,640
დაგროვილი ცვეთა						
31.12. 2021	-	(2,962)	(3,122)	(1,076)	(13)	(7,173)
ცვეთა	-	(602)	(247)	(122)	-	(971)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	2	-	2
31.12. 2022		(3,564)	(3,369)	(1,196)	(13)	(8,142)
ცვეთა		(531)	(6)	(385)	(83)	(1005)
დაგროვილი ცვეთა		-	-	40	-	40
31.12.2023		(4,095)	(3,375)	(1,541)	(96)	(9,107)
საბალანსო ღირებულება						
31.12.2022	3,490	26,554	934	1,259	66	32,303
31.12.2023	3,490	26,023	937	1,516	567	32,533

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით მიღებული სესხის უზრუნველყოფაში ჩადებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები სრულად.

სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება შეადგენს 4,219 ლარს.

* კომპანიას აქვს დავა სამედიცინო აღჭურვილობის მომწოდებელთან, რომელიც გრძელდება მესამე წელი. აღნიშნული აღჭურვილობა კომპანიას აღრიცხული ჰქონდა როგორც სხვა აქტივი და შესაბამისად 2022 და 2021 წლების ნაშთებში არ იყო გათვალისწინებული.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული აქტივი ასახულია ძირითად საშუალებად, შესაბამისად მოვახდინეთ შესადარისი ინფორმაციის გადანგარიშება.

6. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სამედიცინო აპარატურა. საიჯარო გადასახდელები არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და წარმოდგენილია ლარში. იჯარის ვადა შეფასდა 3 წლით.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის აქტივის გამოყენების უფლებებისა და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი მოძრაობა წლის განმავლობაში:

	აქტივის გამოყენების უფლება (დანადგარები)	საიჯარო ვალდებულებები
2022 წლის 1 იანვარი	255	219
ცვეთის ხარჯი	(127)	-
საპროცენტო ხარჯი	-	20
გადახდები	-	(23)
2022 წლის 31 დეკემბერი	128	216

წმინდა შემოსვლები	540	324
ცვეთის ხარჯი	(107)	-
საპროცენტო ხარჯი	-	60
გადახდა	-	(143)
ხელახალი აღიარების შედეგად	(128)	-
2023 წლის 31 დეკემბერი	433	457

აქტივის სარგებლობის უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულებების ოდენობით, რომელიც კორექტირებულია წინასწარი გადახდით და დარიცხული ვალდებულებით. 2023 წლის საწყისი მონაცემები არ ედრება 2022 წლის საბოლოო მონაცემებს, იმის გამო რომ მოხდა აქტივის ხელახალი აღიარება საექსპლუატაციო ვადის გადახედვის შემდეგ.

საიჯარო ვალდებულებები აღიარებულია მომავალი საიჯარო გადახდების დისკონტირებული ღირებულებით ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის

საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მსესხებელს მოუწევს გადაიხადოს მსგავს ეკონომიკურ გარემოში, რათა მიიღოს სესხი, რომელიც საჭიროა აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი აქტივის შესაძენად, რომელსაც ექნება მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა. ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 12.61%-ს.

7. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალები	615	655
სამეურნეო მარაგები	29	25
	644	680

8. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

	31.12.2023	31.12.2022
სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშები	3,639	3,276
ფიზიკური პირებისგან და სხვა მისაღები ანგარიშები	-	16
სადაზღვევო კომპანიებისგან მისაღები ანგარიშები	119	139
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(858)	(964)
სულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები, წმინდა	2,900	2,467

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვარი	(964)	(1,589)
რეზერვის ზრდა/(შემცირება)	106	625
უიმედო ვალად აღიარება	-	-
31 დეკემბერი	(858)	(964)

2023 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სხვა მოკლევადიან აქტივებში შესული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასე გამოიყურება:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
მოთხოვნები სოციალური მომსახურების სააგენტოსთან	2,610	0%	-
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	-	0%	-
მოთხოვნები გაუფასურების ანარიცხით			
მიმდინარე	22	6%	-
ვადაგადაცილება 30-90 დღე	267	5%	(13)
ვადაგადაცილება 91-180 დღე	-	20%	-
ვადაგადაცილება 181-365 დღე	4	50%	(2)
ვადაგადაცილება 365 დღეზე მეტი	855	100%	(855)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	<u>3,758</u>		<u>(858)</u>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	<u>(858)</u>		<u>-</u>
წმინდა მოთხოვნები	<u>2,900</u>		<u>(858)</u>

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
მოთხოვნები სოციალური მომსახურების სააგენტოსთან	2,336	0%	-
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	-	0%	-
მოთხოვნები გაუფასურების ანარიცხით			
მიმდინარე	62	6%	(1)
ვადაგადაცილება 30-90 დღე	26	5%	(2)
ვადაგადაცილება 91-180 დღე	35	20%	(7)
ვადაგადაცილება 181-365 დღე	35	50%	(17)
ვადაგადაცილება 365 დღეზე მეტი	937	100%	(937)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	<u>3,431</u>		<u>(964)</u>
	<u>(964)</u>		<u>-</u>
წმინდა მოთხოვნები	<u>2,467</u>		<u>(964)</u>

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი

გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დამატებით ინფორმაცია მოცემულია 21-ე განმარტებით შენიშვნაში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	12	100
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4	10
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	-	-
	16	110

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას. დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

10. კაპიტალი

ა) **საწესდებო კაპიტალი** - მფლობელთა საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის დაფუძნების დოკუმენტაციაში მითითებული კაპიტალის ნომინალურ ოდენობას. მფლობელთა საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდით შეადგენდა 11,918 ლარს (31 დეკემბერი 2022 წ.: 735 ლარი).

ბ) **დივიდენდები** - გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია კომპანიის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს სტანდარტების შესაბამისად.

11. ნასესხები სახსრები

მიღებული მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ვალუტა	გაცემული სესხი ორიგინალ ვალუტაში	მოქმედების ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2023	31.12.2022
სს "ლიბერთი ბანკი"	ევრო	-	24.01.2019 – 17.02.2034	5.5%+Euro Libor 6 თვიანი	622	856
დავით ხაზარაძე	ლარი	-	-	20%	-	563
სულ:					622	1,419

მიღებული გრძელვადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ვალუტა	გაცემული სესხი ორიგინალ ვალუტაში	მოქმედების ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2023	31.12.2022
სს "ლიბერთი ბანკი"	ევრო	5,300	24.01.2019 – 17.02.2034	5.5%+Euro Libor 6 თვიანი	4,257	11,779
დავით ხაზარაძე	ევრო	-	-	5.5%	-	704
დავით ხაზარაძე	გირვანქა სტერლინგი	443	-	5.5%	830	326

სესხის ძირი და საპროცენტო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	14,228	17,273
ნასესხები სახსრები	2,241	988
საპროცენტო ხარჯი	1,569	885
სესხის ძირითადი თანხის შენატანები	(11,334)	-
გადახდილი პროცენტი	(1,176)	(847)
საკურსო სხვაობით გამოწვეული, შემოსულობა	181	(4,071)
სულ ჯამში:	5,709	14,228

მიღებული სესხების უზრუნველყოფის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში. მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას. დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ მოცემულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
სახელფასო ვალდებულებები	2,981	2,304
სავაჭრო ვალდებულებები	3,691	2,981
სხვა ვალდებულებები	-	24
	6,672	5,309

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-2 განმარტებითი შენიშვნაში.

13. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონიტორინგი - კომპანიის სამედიცინო საქმიანობა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს. კერძოდ, სააგენტო პერიოდულად ახორციელებს კომპანიის მიერ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსთან წარდგენილი შესრულებების დოკუმენტური სისრულის შემოწმებას. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაძლოა კომპანიას დაეკისროს ფინანსური სანქციები.

სასამართლო დავები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო დავა, რომელიც უკავშირდება მომწოდებლის მიერ მოწოდებული დანადგარის არაფუნქციონირებადობის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. კომპანიამ 2023 წელს საკუთარი ძალებით დაიწყო აღნიშნული დანადგარის გარემონტება და გაუშვა ექსპლუატაციაში.

კლინიკა აგრძელებს დავას მომწოდებელთან მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. დავის საგანია: ზიანის ანაზღაურება და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება 1,788 ათასი ლარის ოდენობით.

14. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

15. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

ამონაგები წარმოადგენს ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომელიც დამფინანსებლების სახეების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	11,663	12,308
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	1,505	1,043
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	58	88
გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	(136)	(56)
სულ შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	13,090	13,383

* სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან წარმოდგენილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავლით.

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15.121-ით გათვალისწინებული პრაქტიკული მიზანშეწონილობა და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული

გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

16. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

	2023	2022
ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი	7,468	6,567
ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება	3,099	3,985
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	557	107
სულ ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	11,124	10,659

არაპირდაპირი ხელფასები, რომლებიც არ აისახა ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდით შეადგენდა 1,745 ლარს (31 დეკემბერი 2022 წ.: 1,618 ლარი) და წარმოდგენილი იყო ცალკე მუხლად მოგებაში ან ზარალში. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯად აღიარებული ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის მთლიანმა თანხამ შეადგინა 9,213 ლარი (31 დეკემბერი 2022 წ.: 8,250 ლარი).

17. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საიჯარო შემოსავალი	343	300
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურება	-	-
სხვა	59	76
სულ	402	376

18. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები

სხვა ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
კომუნალური გადასახადები	(720)	(768)

მიმდინარე რემონტი და შეკეთება
 სამეურნეო ხარჯები
 შეძენილი სამედიცინო მომსახურება
 პროფესიული მომსახურება
 სხვა

(344)	(270)
(246)	(251)
(152)	(146)
(72)	(42)
(152)	(119)
(1,686)	(1,596)

19. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური შემოსავალი		
სესხთან დაკავშირებული კურსთაშორის სხვაობა	-	3,097
სულ ფინანსური შემოსავალი:	-	3,097
ფინანსური ხარჯი	31.12.2023	31.12.2022
სესხთან დაკავშირებული კურსთაშორის სხვაობა	(219)	(28)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	(60)	(20)
მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,569)	(611)
სულ ფინანსური ხარჯი:	(1,848)	(659)

20. დივიდენდი

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება მფლობელთა კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ აქვს გამოცხადებული ან გაცემული დივიდენდი.

21. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,900	2,467
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	110
	2,916	2,577
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	5,709	14,228
საიჯარო ვალდებულებები	457	216
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,672	5,309
	12,838	19,753

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის სამართლიანი ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის. დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

კომპანია კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი

დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: პაციენტთა დაფინანსებას ახორციელებს სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, იურიდიული პირი თუ ფიზიკური, წარსულში ფინანსური სიძნელების არსებობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-8 განმარტებითი შენიშვნა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ფუნტი სტერლინგი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	-	-	16
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,900			2,900
	2,916	-	-	2,916
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	830	4,879	5,709
საიჯარო ვალდებულება	457	-	-	457
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,672	-	-	6,672
	7,129	830	4,879	12,838
სავალუტო პოზიცია უცხოურ ვალუტაში	(4,213)	(830)	(4,879)	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ფუნტი სტერლინგი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	110	-	-	110
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,467	-	-	2,467
	2,577	-	-	2,577
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	563	326	13,339	14,228
საიჯარო ვალდებულება	216	-	-	216
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,309	-	-	5,309
	6,088	326	13,339	18,201
სავალუტო პოზიცია	(3,511)	(326)	(13,339)	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი
შემდეგია:

	ლარი/ფუნტი სტერლინგი 20%	ლარი/ფუნტი სტერლინგი -20%	ლარი/ევრო ო 20%	ლარი/ევრო ო -20%
მოგება/ზარალი	(166)	166	(976)	976

2022 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი
შემდეგია:

	ლარი/აშშ დოლარი 20%	ლარი/აშშ დოლარი -20%	ლარი/ევრო ო 20%	ლარი/ევრო ო -20%
მოგება/ზარალი	(65)	65	(2,668)	2,668

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულებების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში:

		31.12.2023		31.12.2022
	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით
მოგება/ზარალი	(49)	49	(133)	133

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

22. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გათვალისწინებულია არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური ანგარიშგება	მდგომარეობის			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		16		2,900
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		352	1,881	6,672
ნასესხები სახსრები			830	5,709
საიჯარო ვალდებულებები		457	-	457

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური ანგარიშგება	მდგომარეობის			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1	-	2,467
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-	1,425	5,309
ნასესხები სახსრები		-	1,460	14,228
საიჯარო ვალდებულებები		216	-	216

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
მოკლევადიანი გასამრჯელო		540	9,213
ფინანსური ხარჯი		170	1,649

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
მოკლევადიანი გასამრჯელო		(516)	(8,250)
ფინანსური ხარჯი		(51)	(661)

23. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის 27 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კომპანიამ დაფარა მიმდინარე სასესხო ვალდებულებები 131 ათასი ლარის ოდენობით.

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“
მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 1 იანვარი - 2023 წლის 31 დეკემბერი
ქ. თბილისი, 2024 წ.

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ	67
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	67
კლინიკის საქმიანობა	67
კლინიკის მოკლე ისტორია:	68
კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა:-----	5
კლინიკის შემოსავლები -----	6
კლინიკის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები -----	15
კლინიკის საქმიანობის ეფექტურობისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ---	21
კლინიკის ქონების სტრუქტურა და მისი ფორმირების წყაროები -----	25
კლინიკის სუფთა აქტივების ღირებულების შეფასება -----	27
საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები -----	28
განვითარების გეგმები-----	28
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ -----	28
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები -----	29

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება- „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“;

საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი- ს/კ №200010674;

იურიდიული მისამართი - საქართველო, 0191, ქ.თბილისი, ზღვის უბნის დასახლება, XI მიკრორაიონი, I კვარტალი.

სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი- №1/4 – 1004 1999 წლის 16 სექტემბერი;

საკონტაქტო ტელეფონები- (+995 32)-60-19-07; 60-02-03;

ელ.ფოსტა- clinic@ddgh.ge;

გენერალური დირექტორი - დავით ხაზარაძე;

საქმიანობის სფერო (“ეკონომიკური საქმიანობის სახეების” - სეკ-ის მიხედვით)- სამედიცინო მომსახურების გაწევა.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კლინიკის საქმიანობა

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“-ს ძირითადი საქმიანობის სახეა სამედიცინო საქმიანობა.

კლინიკა წარმოადგენს მრავალპროფილურ საავადმყოფოს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებს.

სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მიერ, 2011 წლის 27 აპრილის გამოცემული № 02-236/ო ბრძანების საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული დაწესებულების ნებართვა N000122, რომლის საფუძველზეც ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო საქმიანობას სანებართვო მოწმობის დანართის ფარგლებში.

კლინიკას, პერინატალური რეგიონალიზაციის საკოორდინაციო საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განესაზღვრა პერინატალური სერვისის III დონე.

სამედიცინო საქმიანობის სახე:

ნებართვები:

1. სტაციონარული დაწესებულების ნებართვა №000122;
2. ახალშობილთა ინტენსიური მოვლა -NICU №005287;
3. სამეანო - ნეონატალური საქმიანობა №005285;
4. ნეონატოლოგია №000540;
5. ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა №003920;
6. ლაბორატორიული საქმიანობა - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა №003921;
7. ლაბორატორიული საქმიანობა - იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა №003922;
8. ონკოლოგია- №000543;
9. ქირურგიული პროფილის საქმიანობა №000542;
10. ოტორინოლარინგოლოგია №005710;
11. რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა №001312;
12. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - EMERGENSY - №002197;
13. რენიმაგია №000541;
14. ფსიქიატრია -№001254;
15. დიალიზი №003203;
16. ნეიროქირურგია №001367;
17. ინტერვენციული კარდიოლოგია №003028;
18. არითმოლოგიის სამსახური.

კლინიკის მოკლე ისტორია:

კლინიკა არსებობს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, რომელსაც 2007-2008 წლებიდან შეეცვალა პროფილი და დღეის მდგომარეობით არის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს ამბულატორიულ, კლინიკურ და დიაგნოსტიკურ მომსახურებებს.

კლინიკა ატარებს ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულების სახელს. კლინიკას შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი არქიტექტურული იერსახე. შენობას აქვს ვენტილაციის, ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების, გათბობის და კონდენცირების ცენტრალიზებული სისტემა, აგრეთვე, ავტონომიური დენის წყარო. პაციენტთა სამედიცინო მომსახურების საქმეში უწყვეტობის შენარჩუნების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კლინიკას გააჩნია ელექტრო და წყალმომარაგების ალტერნატიული, სარეზერვო წყაროები.

გარდა ამისა, კლინიკას გააჩნია საკუთარი, სამედიცინო ჟანგბადის მიმღები (წარმოება) დანადგარი.

კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა:

კლინიკა მოსახლეობას 100-ზე მეტი დასახელების სამედიცინო მომსახურებას აწვდის. კლინიკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების არასრული ჩამონათვალია: ახალშობილთა ინტენსიური მოვლა; სამეანო-ნეონატალური საქმიანობა; ნეონატოლოგია; ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა; ონკოლოგიური და ქირურგიული პროფილის საქმიანობა; ფსიქიატრია (მათ შორის ბავშვთა და მოზრდილთა); ნეიროქირურგიული საქმიანობა; ინტერვენციული კარდიოლოგიური მომსახურება და სხვა. კლინიკაში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 445 (545) თანამშრომელი.

სტატისტიკურად დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

დასახელება	2023	2022	2021	2020	გადახრა გრაფა (2-3) + -	შენიშვნა: 2023 წელს მოქმედი (მომუშავე) დასაქმებუ ლები
1	2	3	4	5	6	7
დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით	545	550	598	595	-5	445

კლინიკა სამედიცინო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო გაიდლაინებითა და პროტოკოლებით. კლინიკის ექიმები სისტემატურად გადიან პროფესიულ მომზადებას. ექიმებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაციები, სხვადასხვა დაავადებების და მდგომარეობის მართვის შესახებ.

კლინიკის საქმიანობა არის მზარდი რასაც მოწმობს 2016-2023 წლების (ზოგიერთი გამონაკლისი პერიოდების გარდა, მაგ: პანდემიური პერიოდი) განმავლობაში კლინიკაში გატარებული პაციენტების რაოდენობა დეპარტამენტების მიხედვით:

შემოსავლები, კლინიკური განყოფილებების მიხედვით, ავადმყოფთა მოძრაობის ანგარიშის მიხედვით, მიღებული იქნა წლების მიხედვით შესაბამისი საწოლ-დღეების მიხედვით. მათ შორის:

2023 წელს კლინიკის შემოსავლები, მიღებულია კლინიკური განყოფილებების მიხედვით, ავადმყოფთა მოძრაობის ანგარიშიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნული შემოსავლები მიღებული იქნა გატარებული

პაციენტებისა და შესაბამისი საწოლ-დღეების მიხედვით. მათ შორის ძირითადი დეპარტამენტების მიხედვით:

კლინიკის განყოფილებების, ავადმყოფთა მოძრაობის ანგარიშის მიხედვით, შემოსავლები მიღებული იქნა სულ - **41 222** საწოლ-დღეების მიხედვით. მათ შორის:

	განყოფილებების დასახელება	საწოლ - დღეები 2023 წ.	საწოლ დღეები - 2022 წ	გადახრა გრ(3-4)+/-
1	2	3	4	5
1	არითმოლოგიის სამსახური	164	62	+102
2	ახალშობილთა რეანიმაცია	2564	2263	+301
3	ინტერვენციული კარდიოლოგიის სამსახური	1786	1430	+356
4	ინტერვენციული ნევროლოგიის სამსახური	0	1	-1
5	კარდიო - თერაპიული სამსახური	4129	5002	-873
6	კარდიო - ინტენსიური სამსახური	1908	2170	-262
7	კარდიოქირურგია	1680	1758	-78
8	კოვიდ-რეანიმაცია	0	305	-305
9	მიმღები და გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტი	4554	5699	-1145
10	ნევროლოგიური დეპარტამენტი	2019	2853	-834
11	ოტორინოლარინგოლოგიის სამსახური	37	23	+14
12	რეანიმაციული დეპარტამენტი	4252	4773	-521
13	სამეანო - გინეკოლოგიური დეპარტამენტი	3381	4251	-870
14	ტრავმატოლოგიური დეპარტამენტი	325	612	-287
15	ფსიქიატრიული დეპარტამენტი	12568	12193	+375
11	ქირურგიული დეპარტამენტი	1850	2048	-198
	სულ - - - - -	41222	45443	-4221

ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ 2023 წელს, კლინიკის განყოფილებების ავადმყოფთა მოძრაობის ანგარიშის მიხედვით, 2022 წელთან შედარებით კლინიკას გატარებული აქვს 4221 საწოლ-დღით ნაკლები, რაც შესაბამისად აისახა კლინიკის შემოსავლებში, შემოსავლების შემცირების კუთხით.

კარდიო-თერაპიული სამსახური.

აღჭურვილობა

- ✓ 22 ფუნქციური საწოლი, აღჭურვილი მუდმივი კარდიომონიტორინგით, ცენტრალური ჟანგბადის წყაროთი და ინფუზომატორებით.
- ✓ ექოკარდიოგრაფია
- ✓ ელექტროკარდიოგრაფია


2023 წლის სტატისტიკური მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად:

- ✓ სულ საწოლდღე - 4129 ს/დ
- ✓ პაციენტის საშუალო დაყოვნება საწოლზე - 5 ს/დ

სამეანო გინეკოლოგიური დეპარტამენტი

სამეანო-გინეკოლოგიური დეპარტამენტის 2023 წლის სტატისტიკური მონაცემებით, მიღებული პაციენტებიდან გამომდინარე, სულ გატარებული იქნა 3381 საწოლ-დღე.

სამეან-გინეკოლოგიური დეპარტამენტი წარმოდგენილია 33 საწოლზე:



ამბულატორია:

დაყოვნება საწოლი დღის მიხედვით - 3.29
საწოლის ბრუნვა - 35.5
საწოლის დატვირთვის მაჩვენებელი - 117.07
საწოლის მოცდენის საშუალო დრო - 0.11
დატვირთვის წლიური პროცენტი - 39.13

ლაბორატორიული დეპარტამენტი

ლაბორატორიულ დეპარტამენტში სრულდება სტანდარტით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის კვლევები, მაგალითად: კლინიკური; ბიოქიმიური; სეროლოგიური; კოაგულოლოგიური; ციტოლოგიური; იზოსეროლოგიური და იმუნოლოგიური.

კარდიოინტენსიური სამსახური

კარდიოინტენსიური სამსახურის 2023 წლის მონაცემების მიხედვით მიმდინარე წელს მიღებული პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 890 პაციენტი.


წლების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად:

2015 წ.	703 პაციენტი.
2016 წ.	723 პაციენტი.
2017 წ.	709 პაციენტი.
2018 წ.	799 პაციენტი.
2019 წ.	786 პაციენტი.
2020 წ.	802 პაციენტი.
2021 წ.	1176 პაციენტი.
2022 წ.	941 პაციენტი.
2023 წ.	890 პაციენტი.

ნევროლოგიური სამსახური.

ა) 2023 წელს ნევროლოგიურ სამსახურში ჰოსპიტალიზებულია 445 (2022 წ.-584 პაციენტი) პაციენტი, რომელმაც 2022 წელთან შედარებით 139 პაციენტით ნაკლები შეადგინა.

ბ) 2023 წელს საწოლდღეების მიხედვით გატარებული იქნა 2838 საწოლ-დღე, რომელიც 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით 837 საწოლ-დღით ნაკლებია.



ფსიქიატრიული განყოფილება

ფსიქიატრიის დეპარტამენტი მოიცავს ბავშვთა განყოფილებას (12 საწოლზე) და მოზრდილთა განყოფილებას (30 საწოლზე).

- მოზრდილთა სტაციონარი (18 წლიდან) 779 პაციენტი
- ბავშვთა და მოზარდთა სტაციონარი (18 წლამდე) - 202 პაციენტი
- ამბულატორიული მომართვა (სათემო ამბულატორია - სეხელმწიფო პროგრამა) 1676 პაციენტი
- ამბულატორიული მომართვა (ფასიანი) 980 პაციენტი

ნეონატოლოგიური დეპარტამენტი:

ნეონატოლოგიური დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით 2022 წელს სულ:

- სულ - 672 (2021 წელს 771) ახალშობილი
მათ შორის:
- 586 დროული (87 %)
- 84 დღენაკლული (13 %)



ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი

ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, 2023 წელს ტრავმატოლოგიურ დეპარტამენტში ჩატარდა 80 (2022 წ.-173) ოპერაცია, რაც 93 ოპერაციით ნაკლებია 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელთან.

- აქედან: 10 (2022 წ.-21) ოპერაცია ჩატარდა გეგმიურად;
- ურგენტული შემთხვევის გამო 70 (2022 წ.-160);
- აქედან ტრავმატოლოგიური ოპერაცია- 8 (2022 წ. -127);
- ყბა-სახის ქირურგიის განყოფილებაში-46 (2022 წ.-46). (იხ.განყოფილების ცხრილი ქვემოთ).

ტრავმატოლოგია

- ტრავმატოლოგიური დეპარტამენტი მოიცავს - 7 საწოლს
- განყოფილებას ემსახურება 5 მედდა
- ყბასახის ქირურგი - 2 ექიმი
- ორთოპედ-ტრავმატოლოგი - ექიმი

2023 წელს ტრავმატოლოგიურ
დეპარტამენტში ჩატარდა 80
(2022წ-170)ოპერაცია;
(2021წ-314) ოპერაცია;
(2020წ-207)ოპერაცია;

- აქედან: 10(21) ოპერაცია ჩატარდა გეგმიურად,
- ურგენტული შემთხვევის გამო 70(160)
- აქედან ტრავმატოლოგიური ოპერაცია-8(127)
- ყბა-სახის ქირურგიის განყოფილებაში-46(46)

ქირურგიული დეპარტამენტი

ქირურგიული დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, დეპარტამენტში, მოთავსდა 375 (2022 წ. - 411) პაციენტი. პაციენტების ამ რაოდენობამ კლინიკაში გაატარა სულ 1850 საწოლ-დღე.

კარდიოქირურგიული განყოფილება

- კარდიოქირურგიული დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, დეპარტამენტში, მოთავსებული პაციენტების და ჩატარებული სამედიცინო ჩარევებით სულ კლინიკაში, გატარდა 1680 (2022 წ. - 1758 საწოლ-დღე) საწოლ-დღე.

რენიმაციული განყოფილება


- რენიმაციულმა განყოფილებამ 2022 წელს განყოფილების სტატისტიკური მონაცემებით სულ უმკურნალა 340 პაციენტს, რომელმაც საწოლ-დღეების მიხედვით შეადგინა 4 252 საწოლ-დღე.

მიმღებ-გადაუდებელი მედიცინის სამსახური

- მიმღებ გადაუდებელი მედიცინის სამსახური კლინიკაში ფუნქციონირებს 02.02.2012 წლიდან, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევისთვის საჭირო მედიკამენტებით და ინვენტარით.


აღნიშნულ სამსახურში წლის განმავლობაში მიღებული იქნა 10 702 პაციენტი.

2023 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 8054 პაციენტი



მიღება - სტაციონარიზაცია - გაწერა

Sales



საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კლინიკის შემოსავლების ძირითადი წყარო არის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის შედეგად, პაციენტებზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი (კლინიკა მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო

პროგრამების განხორციელებაში), ასევე, კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეულთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით პაციენტთა მიერ გადახდილი თანხებიდან, პანდემიის პერიოდში, კოვიდ-თერაპიული სამსახურის მიერ გაწეული მომსახურებიდან და სხვა.

სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კანონმდებლობის ცვლილებით გამოწვეული, ძირითად სამედიცინო მომსახურებებზე ფასების მკვეთრი შემცირების გამო, ამასთან, პოსტკოვიდური პერიოდის მძლავრი ზეგავლენის მოქმედებების გამო, კლინიკის 2023 წლის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით, აღინიშნება შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება.

2023 წლის ფაქტობრივი მონაცემებიდან გამომდინარე შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ (შემდგომში „კლინიკა“) საოპერაციო შემოსავლების კუთხით აღიარებულმა შემოსავალმა არასაოპერაციო შემოსავლების ჩათვლით სულ შეადგინა - **13,472,467** ლარი, რაც - **654,601.00** ლარით ნაკლებია 2022 წლის შემოსავლებზე (**14,127,068** ლარი). აქედან - 13,039,518 (2022 წელი - 13,709,656) ლარი არის საოპერაციო შემოსავლები, (რაც -670,139 ლარით ნაკლებია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე), ხოლო - **432,949** ლარი (2022 წელი - 417,411) შეადგინა არასაოპერაციო შემოსავლებმა, რომელიც 15,537 ლარით მეტია 2022 წლის, არასაოპერაციო მუხლით განსაზღვრულ შემოსავლებზე. სუფთა საოპერაციო შემოსავალმა არასაოპერაციო შემოსავლების გარეშე შეადგინა - **13,039,518 ლარი**.

არასაოპერაციო შემოსავლების კუთხით აღიარებულ - **432,949** ლარში არ არის გათვალისწინებული 20,076.53 ლარი. აღნიშნული თანხა წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის მიხედვით აღრიცხულ შემოსავალს, რომელიც მიიღება საბუღალტრო ოპერაციების შედეგად, საბანკო გადარიცხვების ან კონვერტაციის დროს დაფიქსირებული საკურსო სხვაობებიდან და არ წარმოადგენს მატერიალურად გამოყენებად თანხას.

კლინიკის საოპერაციო შემოსავლების მიხედვით, არასაოპერაციო შემოსავლების კუთხით დამატებული - 432,949.00 ლარი, მიღებული იქნა:

- 11,559.00 ლარი (რეალიზაცია დღგ-ს გარეშე), რომელიც მიღებული იქნა კლინიკის და კლინიკის სამედიცინო პერსონალის სხვადასხვა სამედიცინო-სამეცნიერო პროგრამებში მონაწილეობის შედეგად (მათ შორის ასოციაციიდან ჩარიცხული თანხა);

- 391,612.00 ლარი, რომელიც მიღებული იქნა ფართების იჯარით გაცემისა და ამავდროულად ლუქს-პალატების გაქირავებით;

- 29,778.00 ლარი არის ჩუქებით გადმოცემული მედიკამენტების ღირებულება და მიღებულ მედიკამენტებზე მომწოდებლისგან მიღებულ ფასდაკლება, აგრეთვე სადაზღვევო პრემიების ჩარიცხვა და

კლინიკის თანამშრომლების მიმართ განხორციელებული ადმინისტრაციული ჯარიმებით დაქვითული თანხები.

აქედან გამომდინარე, საბუღალტრო მონაცემებით საოპერაციო და არასაოპერაციო ერთობლივმა შემოსავალმა, კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავლების გარეშე 2023 წელს სულ შეადგინა - **13,472,467** (13,039,518 + 432,949) ლარი, რომელიც 4,859%-ით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის შემოსავლებთან. აღნიშნული დასტურდება საბუღალტრო მონაცემებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ იგივე საგადასახადო კოდექსის მიხედვით შემოსავლები აღიარებულია დარიცხვის ანუ გაწეული მომსახურების ფაქტიური შესრულების პერიოდის (კალენდარული პერიოდის) მიხედვით და არ არის თანხვედრაში როგორც ფაქტიურად მიღებულ შემოსავლებთან (მიღებულ თანხებთან) და არც საქართველოში მოქმედ ჯანდაცვის კანონმდებლობასთან.

შინაარსი	წლიური - 2023	წლიური - 2022	გადახრა გრ(2-3)+/-
1	2	3	4
საოპერაციო შემოსავალი	13,039,517.54	13,709,656.19	-670,138.64
სადაზღვევო კომპანიებიდან	58,398.64	88,586.58	-30,187.94
სახელმწიფო პროგრამებით	10,247,822.56	10,268,207.10	-20,384.54
მერიები და დაფინანსებები	166,499.66	316,338.20	-149,838.54
ნაღდი გადახდებით	1,505,202.08	1,993,789.35	-488,587.27
ტერმინალით გადახდილი თანხები	1,061,594.60	1,042,734.96	+18,859.64
არასაოპერაციო შემოსავლები ფაქტიური	432,948.69	417,411.77	+15,536.92
რეალიზაცია დღგ-ს გარეშე	11,559.33	18,686.44	-7,127.11
რეალიზაციის დღგ - ბრუნვებით	391,611.87	380,277.48	+11,334.39
არასაოპერაციო შემოსავლები	29,777.49	18,447.85	+11,329.64
სხვა ფინანსური შემოსავლები	0.00	0.00	0.00
შემოსავალი საკურსო სხვაობებიდან	0.00	0.00	0.00

ხარჯების აღიარების სტრუქტურა

2023 წელს შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა - 12,835,971.00 ლარი (2022 წ. - 12,360,954.00 ლარი), ხოლო არასაოპერაციო ხარჯებმა - 1,922,539.39 (ბანკის სესხზე, საპროცენტო ხარჯებისა და ამორტიზაციის გარეშე) ლარი (2022 წ. - 1,735,376.66 ლარი), რაც ჯამში, გასული წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით 4.698%-ით არის მეტი.

საოპერაციო ხარჯები	2023 წ.	2022 წ.	გადახრა +/- (გრ.2-გრ.3)
1	2	3	4
	12,835,971	12,360,954	+475,017
მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალა	3,103,760.53	3,526,169.74	-422,409.21
დარიცხული ხელფასი	9,119,365	8,223,197	+896,168
პაციენტებზე დაბრუნებული თანხები	33,693.17	5,383.41	+28,310
შემოსავლების კორექტირება	25,566.64	49,718.06	-24,151.42
გარე სამედიცინო კვლევები და მომსახურება	287,708.78	451,600.86	-163,892.08
პაციენტების კვება	265,877.00	104,885.00	+160,992.00
არასაოპერაციო ხარჯები	1,922,539.39	1,735,379.66	+187,159.73
კომუნალური ხარჯები	719,840.65	767,774.61	-47,933.96
საკომუნიკაციო ხარჯები	39,213.80	37,071.33	+2,142.47
საკანცელარიო ხარჯები	48,183.58	52,464.91	-4,281.33
მივლინების ხარჯები	1,600.00	0.00	+1,600.00
წარმომადგენლობითი ხარჯები	9,083.14	6,225.23	+2,857.91
საბანკო ხარჯები	20,558.70	14,515.77	+6,042.93
კომპიუტერული ხარჯები	37,208.45	20,777.05	+16,431.40
გათბობა-კონდიციონერების ხარჯები	24,275.92	21,361.03	+2,914.89
დაზღვევის ხარჯები	34,925.84	35,884.95	-959.11
საიჯარო ქირის ხარჯი	160,100.00	155,700.00	+4,400.00
რეკლამის ხარჯი	982.90	8,398.04	-7,415.14
სამედიცინო აპარატურის რემონტი	118,790.53	166,027.18	-47,236.65
ლიფტის მოვლისა და რემონტის ხარჯი	10,345.00	13,730.00	-3,385.00
სამეურნეო ინვენტარის რემონტი	32,293.78	23,677.81	+8,615.97

კორპუსის მიმდინარე რემონტი, სხვადასხვა რემონტები და სამეურნ. ხარჯი და ა.შ.	248,837.69	89,748.90	+159,088.79
აუდიტორული მომსახურება	26,500.00	28,000.00	-1,500.00
დაცვის მომსახურება	2,400.00	2,400.00	0.00
ეპიდემიოლოგიური ხარჯი	4,948.00	3,459.00	+1,489
თეთრეულის ჩამოწერის ხარჯი	15,767.17	0.00	+15,767.17
იურიდიული და ნოტარიული ხარჯი	14,492.23	2,441.81	+12,050.42
საბუღალტრო პროგრამის ხარჯი	0	100.00	-100.00
ლიცენზირების და მოსაკრებლების ხარჯები, საერთაშორისო აკრედიტაციის ხარჯები-TEMOS	44,570.93	1,275.00	+43,295.93
სალარო აპარატის მომსახურების ხარჯი	379.00	210.00	+169.00
ჯანდაცვის ასოციაციის საწევრო გადასახადი	6,000.00	0.00	+6,000.00
სამედიცინო პროგრამის ხარჯი	17,400.00	14,812.50	+2,587.50
საპროექტო ხარჯები	0.00	0.00	0.00
სანიტარულ - ჰიგიენური ხარჯი	120,558.62	118,986.14	+1,572.48
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	38,050.53	41,679.81	-3,629.28
ტექნიკური უსაფრთხოების ხარჯი	7,365.00	6,861.00	+504.00
სამედიცინო ნარჩენების გატანის ხარჯი	21,340.00	17,440.00	+3,900.00
სხვა საგადასახადო ხარჯი	19,572.45	19,856.00	-283.55
საპენსიო ფონდის შენატანი	76,955.48	64,501.59	+12,453.89
სულ არასაოპერაციო ხარჯი	1,922,539.39	1,735,379.66	+187,159.73
სულ საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები	14,758,510.39	14,096,333.66	+662,173.73
სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის (საოპერაციო მოგება)	(1,286,043.16)	30,734.30	(1,255,308.86)
ბანკის სესხის პროცენტის ხარჯი	(1,128,578)	(884,964.03)	+243,613.97
შემოსავლებსა და ხარჯებს შორის არსებული სხვაობა ბანკის სესხის პროცენტის გათვალისწინებით	(2,414,621)	(854,229.73)	+1,560,391.27
ვადაგადაცილებული და უიმედო დებიტორული დავალიანების ჩამოწერა			
ცვეთა და ამორტიზაცია (მათ შორის შენობა-ნაგებობების ცვეთა - დარჩენილ 50 წელზე გაანგარიშებით)	935,058.98	951,497.02	-16,438.04
მოგება -ზარალი (+ -)	(3,349,680.00)	(1,805,726.75)	+1,543,953.25

2023 წელს საამორტიზაციო ანარიცხებმა სულ შეადგინა - 935,059.00 ლარი, აღნიშნული თანხა შედგება მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების ცვეთის (ამორტიზაცია) თანხით.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კლინიკის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობები აშენებულია და ექსპლუატაციაში შესულია გასული საუკუნის 80-იან წლებში. ვინაიდან, ძველი ნორმებიდან გამომდინარე, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის ხანგრძლივობის ვადა შეადგენდა საშუალოდ 80 წელს, საამორტიზაციო თანხები დათვლილია სავარაუდო დარჩენილ, საექსპლუატაციო 50 წლიან ხანგრძლივობაზე.

ძირითადი საშუალებების შემენაში განხილულია ისეთი ხარჯები, როგორიცაა:

1	სამედიცინო აპარატურა	860,891.00
2	სამედიცინო ინვენტარი	56,127.00
3	ავეჯი	6,050.00
4	კომპიუტერები	8,256.00
5	სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ინვენტარი	11,475.00
6	ჩილერი	135,843.00
	სულ ჯამი -----	<u>1,078,642.00</u>

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2023 წლის ოქტომბერ-დეკემბრის თვეებში, კლინიკის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების თანხები ფაქტიურად ჩაირიცხება 2024 წელს, მაგრამ ვინაიდან გასულ წლებში, დღეს არსებული კანონიდან გამომდინარე, კლინიკის შემოსავლები და ხარჯები, შესაბამისად მოგება-ზარალის თანხები, გაანგარიშებული იყო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების (კალენდარული წლის თვეების მიხედვით), დარიცხვის მეთოდით, დღეს, პრაქტიკულად შეუძლებელია ამ მეთოდის უგულებელყოფა, აქვე გასათვალისწინებელია სახელმწიფოს მხრიდან თანხების დაგვიანებით ჩარიცხვაც, ამიტომ არამართლზომიერი იქნება 2023 წლის შემოსავლების და ხარჯების სხვაგვარად კლასიფიცირების შემთხვევა. ამრიგად, 2023 წლის, საოპერაციო სამეურნეო წელი დასრულებულია ზარალით (ბანკის პროცენტისა და ამორტიზაციის თანხების გარეშე), თანხით - **(1,286,043.16)** ლარის ოდენობით, ხოლო ბანკის პროცენტისა და ამორტიზაციის თანხების გათვალისწინებით ზარალი შეადგენს **(3,349,680.00)** ლარს

შპს “ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“-ს საქმიანობის ეფექტურობისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

1. ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

მაჩვენებლები	მაჩვენებლების დანიშნულება - ლარი		მაჩვენებლების ცვლილებები		საშუალოწლიური სიდიდე -ლარი .
	2022	2023	ლარი (გრ.3 - გრ.2)	± % ((გრ.3- გრ.2) : გრ.2)	
1	2	3	4	5	6
1.შემოსავალი (ამონაგები) გაწეული მომსახურებიდან (Revenues)	14,108,620	13,442,689	-665,931	-4,7	13,775,635
2. გაწეული მომსახურების თვითღირებულება (Cost of revenue)	14,096,333	14,758,511	+662,178	+4,7	14,427,422
3. სასაქონლო მოგება (Gross profit) (1-2)	12,287	-1,315,822	-1,328,109	-	651,768
4.კლინიკის მიმდინარე მომსახურებიდან მიღებული სხვა და სხვა შემოსავლები და ხარჯები, გარდა მიღებული პროცენტებისა და გადასახადებისა (Other income and expenses from continuing operations, except interest and debt expense and income tax expense)	18,448	29,778	+11,330	+61,4	24,113
5. EBITDA (მოგება პროცენტებამდე, გადასახადებამდე და ამორტიზაციის ხარჯებამდე, ანუ საოპერაციო მოგება) გრ(3+4)	30,735	-1,286,044	-1,333,217	-	315,624
6. EBIT (მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე, ანუ ამორტიზაციის ჩათვლით) (3+4) - გრ7	-920,762	-2,221,103	-3,141,865	-	

7. სასესხო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტები (Interest and debt expense)	884,964	1,128,578	+243,614	+27,5	1,006,771
8. სხვა ხარჯები. ცვეთა და ამორტიზაცია	951,497	935,059	-16,438	1,73	943,278
მოგება/ზარალი	-3,349,680	-1,805,726			

როგორც ფინანსური მაჩვენებლების 2023 წლის მიმოხილვიდან ჩანს, შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ შემოსავლები და ხარჯები მნიშვნელოვნად განსხვავდება 2022 სამეურნეო წლისაგან. აქედან პირველ რიგში მკვეთრად არის გამოხატული 2023 წელს საოპერაციო შემოსავლების კლება 2022 საბაზისო წელთან შედარებით, რომელმაც **670,138.00** ლარით ნაკლები შეადგინა.

შემოსავლების კლების ძირითადი ინდიკატორია ე.წ. „დიარჯი“ სისტემაზე გადასვლა, აგრეთვე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული სხვადასხვა დადგენილებები, რაც მუდმივად ზღუდავს კლინიკაში, სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების მიერ პაციენტების შემოყვანას და ეს ფაქტი 2023 წელს ხშირად იყო გამოყენებული კლინიკის მიმართ.

ამ ფაქტის დასტურია თუნდაც ის, რომ კლინიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა პაციენტების შემოდინება, რასაც ადასტურებს კლინიკის საწოლდღეების რაოდენობის შემცირებას. კერძოდ: 2022 წელს კლინიკაში დაფიქსირდა 45,443 საწოლდღე, ხოლო 2023 წელს 41,222 საწოლდღე, რაც 4,221 საწოლდღით ნაკლებია 2022 წლის მაჩვენებელთან.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 41,222 საწოლდღის გატარებით კლინიკამ საოპერაციო შემოსავლების კუთხით მიიღო საშუალოდ **13,039,517.00** ლარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი საწოლდღის საშუალო-მიახლოებითი შემოსავალი შეადგენს 316,32 ლარს, ხოლო 2022 წლის საწოლდღეების მაჩვენებლებთან არსებული სხვაობის გამრავლებით საშუალო-მიახლოებით შემოსავალზე $(4,221 * 316.22)$ მივიღებთ ასევე საშუალო მიახლოებით თანხას **1,334,765.00** ლარს.

ანუ ეს იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკის შედეგად კლინიკამ, დატვირთვიანობის შემცირების შედეგად, საშუალოდ დაკარგა სულ მინიმუმ **1,334,765.00** ლარის შემოსავალი.

ამასთან, ყველა კლინიკას, რომელიც ემსახურება ფსიქიატრიულ პაციენტებს გაეზარდათ ასეთი კატეგორიის პაციენტების მკურნალობის მომსახურებაზე დაფინანსება, ხოლო ჩვენ, მთავრობის დადგენილებით შეგვიმცირდა.

ზემოაღნიშნული ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ 2022 სამეურნეო წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი როგორც საოპერაციო (475,017) ასევე არასაოპერაციო (187,159) ხარჯებიც. საოპერაციო ხარჯების ზრდა ძირითადად გამოწვეულია სამედიცინო პერსონალზე ხელფასების იძულებითი (მთავრობის დადგენილება) ზრდით და ასევე კლინიკის სამეურნეო საქმიანობისათვის და მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებლობების, შესაძენი ფასების ზრდით.

აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მცირედ, მაგრამ მაინც გაიზარდა ძირითადი საშუალებების მუხლიც, ვინაიდან ასევე, მთავრობის დადგენილების შესაბამისად ყველა იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება მოგვიწია, რაც ხელს არ შეუშლიდა სულ მცირე კლინიკის ფუნქციონირებას თუ არა იძულებით დაკეტვას. ამ დადგენილების (სახანძრო უსაფრთხოება და ა.შ.) შესასრულებლად, კლინიკის ხარჯებიდან წინასწარი დაგეგმვის გარეშე დაიხარჯა თანხები, ასევე არის სხვა დაუგეგმავი ხარჯები, რომლებიც აღრიცხულია ხარჯვითი ნაწილის „მიმდინარე რემონტის ხარჯების“-ს მუხლით.

კლინიკის ქონების სტრუქტურა და მისი ფორმირების წყაროები

მაჩვენებლები	მაჩვენებლების მნიშვნელობა				ცვლილებები	
	ლარი		% -ში ბალანსის ვალუტასთან თანაფარდობით		ლარი (გრ.3- გრ.)	± % ((გრ.3 -გრ.2) : გრ.2)
	31.12.2022	31.12.2023	საანალიზო პერიოდის დასაწყისში (31.12.2022)	საანალიზო პერიოდის ბოლოს (31.12.2023)		
1	2	3	4	5	6	7
აქტივები:						
1. . არასაბრუნავი აქტივები (ძს+სს/მარაგ+ავანს+ხარჯ)	32 975 137	33 219 238	92,3	92,3	+244 101	+0,7
მათ შორის ძირითადი საშუალებები	31 862 231	32 513 535	89,1	90,3	+651 304	+2
არამატერიალური აქტივები	3 286	—	—	—	—	—
2. საბრუნავი საშუალებები სულ:(ფული+მოთხ.+სხვამოკლ)	2 764 953	2 787 181	7,7	7,7	+22 228	+0,8
მათ შორის მარაგები	680 369	624 878	1,90	1,74	-55 492	-8,15
დებიტორული დავალიანება	2 639 145	2 752 693	7,4	7,6	+113 548	+4,3
ფულადი საშუალებები, მათი ეკვივალენტები და მოკლევადიანი დაბანდებები	110 115	16 206	0,3	<0,1	-93 909	-85,3
პასივი:						
1. საკუთარი კაპიტალი	734 612	11 917 651	2,1	33,1	+11 183 0 39	+16,2 ჯერ
2. სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	27 558 451	16 243 649	77,1	45 11	-11 314 802	-41,1

მათ შორის სესხები	13 486 719	5 377 956	37,7	14,94	-8 108 763	-60,1
3. სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	7 447 027	7 845 120	20,8	21,79	+398 093	+5,3
მათ შორის სესხები	1 494 570	650 468	4,2	2,4	-644 102	-43,1
ბალანსის ვალუტა:	35 740 090	36 006 419	100	100	+266 329	+0,7

საბუღალტრო მონაცემებისა და ბალანსის მიხედვით მიხედვით, კლინიკაში აქტივების ზრდის სიდიდე პირველ რიგში დაკავშირებულია აქტივების შემდეგი პოზიციების ზრდასთან

- ძირითადი საშუალებები (ჩამოწერების გათვალისწინებით) – **651 304** ლარი. (**84,9%**)
- დებიტორული დავალიანება – **113 548** ლარი. (**14,8%**)

ამავდროულად ბალანსის პასივშიც არის მნიშვნელოვანი ცვლილებები ზოგიერთი საბალანსო მუხლის მიხედვითაც: მაგალითად:

- საწესდებო კაპიტალის ზრდა - **11 183 039** ლარი. (**87,9%**)

P.S. სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში გადმოტანილია საბალანსო მუხლი **გაუნაწილებელი მოგება** 10 516 744 ლარის ოდენობით.

აღნიშნული თანხა შედგება გადაფასებების (სასესხო ვალდებულებების, მომწოდებლების დავალიანებების) შედეგად მიღებული არარეალური თანხებისაგან და არ წარმოადგენს გასული წლების შედეგად მიღებულ მოგებებს.

ამ ცხრილში, მუხლი „სულ გრძელვადიანი ვალდებულებები“ თანხით **16 243 649.00** ლარი იშიფრება შემდეგნაირად: $=5,377,956 + 10,516,744 + 68,255 + 280,694$

რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია კლინიკის ლიკვიდურობის კოეფიციენტის გასამყარებლად ეს არის საწესდებო კაპიტალის ზრდა, რომელიც 2023 წლის განმავლობაში გაიზარდა 16,2-ჯერ ანუ 11,183,039.00 ლარით და შეადგინა 11,917,651 ლარი.

3.3 კლინიკის სუფთა აქტივების ღირებულების შეფასება

მაჩვენებლები	მაჩვენებლების მნიშვნელობა				ცვლილებები	
	ლარი		% -ში ბალანსის ვალუტასთან თანაფარდობით		ლარი (გრ.3-გრ.2)	± % ((გრ.3- გრ.2) : გრ.2)
	31.12.2022	31.12.2023	საანალიზო პერიოდის დასაწყისში (31.12.2022))	საანალიზო პერიოდის ბოლოს (31.12.2023))		
1	2	3	4	5	6	7
1.კაპიტალი და რეზერვები	734 612	11 917 651	2,1	33,1	+11 183 039	+16,2 ჯერ
2. საწესდებო კაპიტალი	734 612	11 917 651	2,1	33,1	+11 183 039	+16,2 ჯერ
3. სუფთა აქტივების გადამეტება საწესდებო კაპიტალთან (გრ.1-გრ.2)	0	0	–	–	–	–

საანალიზო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2023 წ.), კლინიკის სუფთა აქტივების სიდიდე, პრაქტიკულად ემთხვევა კლინიკის საწესდებო კაპიტალს, რომელიც 16,2 ჯერ გაიზარდა. ასეთი თავსებადობა პრაქტიკულად ამყარებს კლინიკის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობას და ტოვებს იმედს მომდევნო პერიოდის საქმიანობის განვითარებაზე.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

საოპერაციო მოგების მარჟა	2023	2022
(საოპერაციო მოგება/საოპერაციო შემოსავალი)	4,02	7,21

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ზემოაღნიშნულ ცხრილში, საოპერაციო მოგების მარჟის გამოთვლის დროს გათვალისწინებულია ის რისკები და ზემოქმედების კოეფიციენტები რაც გამოწვეული იყო საქართველოში და მთელს მსოფლიოში, კოვიდ პანდემიის დროს განხორციელებული ეკონომიკური კრიზისის პერიოდში.

განვითარების გეგმები

2023 წლის სამედიცინო და საფინანსო მონაცემები კლინიკას საშუალებას აძლევს მომდევნო წელს დაგეგმოს არსებული სამედიცინო სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების ღონისძიებები, ასევე, ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებული სამუშაოები, თუ კანონმდებლობით რამე არ შეიცვალა.

2024 წლისათვის დაგეგმილია უახლესი აპარატურის შეძენა, ასევე ახალი სამედიცინო მიმდინარეობების დანერგვა, რაც თავისთავად მოითხოვს კლინიკაში დასაქმებული კადრების გადამზადებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეს დამატებითი ფუნქციები კლინიკას მოუტანს გარკვეული ტიპის დამატებით შემოსავლებს 2023 წელთან შედარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეს დამატებითი ფუნქციები კლინიკას მოუტანს გარკვეული ტიპის დამატებით შემოსავლებს 2022-23 წლებთან შედარებით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 წლის 31 დეკემბერს, დასრულებული წლისთვის კლინიკის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების გასხვისება.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კლინიკა საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კლინიკის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი - არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის კლინიკა საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კლინიკა საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. კლინიკის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კლინიკა შეძლებისდაგვარად ახორციელებს რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

საპროცენტო რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“
დირექტორი

დ. ხაზარაძე

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“
მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 1 იანვარი - 2023 წლის 31 დეკემბერი
ქ. თბილისი, 2024 წ.

გვერდი 1

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ	3
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	3
კლინიკის საქმიანობა	3
კლინიკის მოკლე ისტორია:	4
კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა:-----	5
კლინიკის შემოსავლები -----	6
კლინიკის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები -----	15
კლინიკის საქმიანობის ეფექტურობისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ---	21
კლინიკის ქონების სტრუქტურა და მისი ფორმირების წყაროები -----	25
კლინიკის სუფთა აქტივების ღირებულების შეფასება -----	27
საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები -----	28
განვითარების გეგმები-----	28
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ -----	28
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები -----	29

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება- „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“;

საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი- ს/კ №200010674;

იურიდიული მისამართი - საქართველო, 0191, ქ.თბილისი, ზღვის უბნის დასახლება, XI

მიკრორაიონი, I კვარტალი.

სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი- №1/4 – 1004 1999 წლის 16 სექტემბერი;

საკონტაქტო ტელეფონები- (+995 32)-60-19-07; 60-02-03;

ელ.ფოსტა- clinic@ddgh.ge;

გენერალური დირექტორი - დავით ხაზარაძე;

საქმიანობის სფერო (“ეკონომიკური საქმიანობის სახეების”- სეკ-ის მიხედვით)- სამედიცინო მომსახურების გაწევა.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კლინიკის საქმიანობა

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“-ს ძირითადი საქმიანობის სახეა სამედიცინო საქმიანობა.

კლინიკა წარმოადგენს მრავალპროფილურ საავადმყოფოს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებს.

სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მიერ, 2011 წლის 27 აპრილის გამოცემული № 02-236/ო ბრძანების საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული დაწესებულების ნებართვა N000122, რომლის საფუძველზეც ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო საქმიანობას სანებართვო მოწმობის დანართის ფარგლებში.

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

კლინიკას, პერინატალური რეგიონალიზაციის საკოორდინაციო საბჭოს 2016 წლის 7 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განესაზღვრა პერინატალური სერვისის III დონე.

სამედიცინო საქმიანობის სახე:

ნებართვები:

1. სტაციონარული დაწესებულების ნებართვა №000122;
2. ახალშობილთა ინტენსიური მოვლა -NICU №005287;
3. სამეანო - ნეონატალური საქმიანობა №005285;
4. ნეონატოლოგია №000540;
5. ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა №003920;
6. ლაბორატორიული საქმიანობა - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა №003921;
7. ლაბორატორიული საქმიანობა - იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა №003922;
8. ონკოლოგია- №000543;
9. ქირურგიული პროფილის საქმიანობა №000542;
10. ოტორინოლარინგოლოგია №005710;
11. რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა №001312;
12. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - EMERGENCY - №002197;
13. რენიმაცია №000541;
14. ფსიქიატრია -№001254;
15. დიალიზი №003203;
16. ნეიროქირურგია №001367;
17. ინტერვენციული კარდიოლოგია №003028;
18. არითმოლოგიის სამსახური.

კლინიკის მოკლე ისტორია:

კლინიკა არსებობს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, რომელსაც 2007-2008 წლებიდან შეეცვალა პროფილი და დღეის მდგომარეობით არის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს ამბულატორიულ, კლინიკურ და დიაგნოსტიკურ მომსახურებებს.

კლინიკა ატარებს ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულების სახელს. კლინიკას შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი არქიტექტურული იერსახე. შენობას აქვს ვენტილაციის, ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების, გათბობის და კონდენცირების ცენტრალიზებული სისტემა, აგრეთვე, ავტონომიური დენის წყარო. პაციენტთა სამედიცინო მომსახურების საქმეში უწყვეტობის შენარჩუნების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კლინიკას გააჩნია ელექტრო და წყალმომარაგების ალტერნატიული, სარეზერვო წყაროები.

გარდა ამისა, კლინიკას გააჩნია საკუთარი, სამედიცინო ჟანგბადის მიმღები (წარმოება) დანადგარი.

გვერდი 4

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა:

კლინიკა მოსახლეობას 100-ზე მეტი დასახელების სამედიცინო მომსახურებას აწვდის. კლინიკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების არასრული ჩამონათვალია: ახალშობილთა ინტენსიური მოვლა; სამედიცინო- ნეონატალური საქმიანობა; ნეონატოლოგია; ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა; ონკოლოგიური და ქირურგიული პროფილის საქმიანობა; ფსიქიატრია (მათ შორის ბავშვთა და მოზრდილთა); ნეიროქირურგიული საქმიანობა; ინტერვენციული კარდიოლოგიური მომსახურება და სხვა. კლინიკაში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 445 (545) თანამშრომელი.

სტატისტიკურად დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

დასახელება	2023	2022	2021	2020	გადახრა გრაფა (2-3) + -	შენიშვნა: 2023 წელს მოქმედი (მომუშავე) დასაქმებუ ლები
1	2	3	4	5	6	7
დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით	545	550	598	595	-5	445

კლინიკა სამედიცინო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო გაიდლაინებითა და პროტოკოლებით. კლინიკის ექიმები სისტემატურად გადიან პროფესიულ მომზადებას. ექიმებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაციები, სხვადასხვა დაავადებების და მდგომარეობის მართვის შესახებ.

კლინიკის საქმიანობა არის მზარდი რასაც მოწმობს 2016-2023 წლების (ზოგიერთი გამონაკლისი პერიოდების გარდა, მაგ: პანდემიური პერიოდი) განმავლობაში კლინიკაში გატარებული პაციენტების რაოდენობა დეპარტამენტების მიხედვით:

შემოსავლები, კლინიკური განყოფილებების მიხედვით, ავადმყოფთა მოძრაობის ანგარიშის მიხედვით, მიღებული იქნა წლების მიხედვით შესაბამისი საწოლ-დღეების მიხედვით. მათ შორის:

2023 წელს კლინიკის შემოსავლები, მიღებულია კლინიკური განყოფილებების მიხედვით, ავადმყოფთა მოძრაობის ანგარიშიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნული შემოსავლები მიღებული იქნა

გვერდი 5

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

გატარებული პაციენტებისა და შესაბამისი საწოლ-დღეების მიხედვით. მათ შორის ძირითადი დეპარტამენტების მიხედვით:

კლინიკის განყოფილებების, ავადმყოფთა მოძრაობის ანგარიშის მიხედვით, შემოსავლები მიღებული იქნა სულ - 41 222 საწოლ-დღეების მიხედვით. მათ შორის:

	განყოფილებების დასახელება	საწოლ - დღეები 2023 წ.	საწოლ დღეები - 2022 წ	გადაზრდა გრ(3-4)+/-
1	2	3	4	5
1	არითმოლოგიის სამსახური	164	62	+102
2	ახალშობილთა რეანიმაცია	2564	2263	+301
3	ინტერვენციული კარდიოლოგიის სამსახური	1786	1430	+356
4	ინტერვენციული ნევროლოგიის სამსახური	0	1	-1
5	კარდიო - თერაპიული სამსახური	4129	5002	-873
6	კარდიო - ინტენსიური სამსახური	1908	2170	-262
7	კარდიოქირურგია	1680	1758	-78
8	კოვიდ-რეანიმაცია	0	305	-305
9	მიმღები და გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტი	4554	5699	-1145
10	ნევროლოგიური დეპარტამენტი	2019	2853	-834
11	ოტორინოლარინგოლოგიის სამსახური	37	23	+14
12	რეანიმაციული დეპარტამენტი	4252	4773	-521
13	სამეანო - გინეკოლოგიური დეპარტამენტი	3381	4251	-870
14	ტრავმატოლოგიური დეპარტამენტი	325	612	-287
15	ფსიქიატრიული დეპარტამენტი	12568	12193	+375
11	ქირურგიული დეპარტამენტი	1850	2048	-198
	სულ -----	41222	45443	-4221

ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ 2023 წელს, კლინიკის განყოფილებების ავადმყოფთა მოძრაობის ანგარიშის მიხედვით, 2022 წელთან შედარებით კლინიკას გატარებული აქვს 4221 საწოლ-დღით ნაკლები, რაც შესაბამისად აისახა კლინიკის შემოსავლებში, შემოსავლების შემცირების კუთხით.

გვერდი 6

შპს „დია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

კარდიო-თერაპიული სამსახური.

აღჭურვილობა

- ✓ 22 ფუნქციური საწოლი, აღჭურვილი მუდმივი კარდიომონიტორინგით, ცენტრალური ჟანგბადის წყაროთი და ინფუზომატორებით.
- ✓ ექოკარდიოგრაფია
- ✓ ელექტროკარდიოგრაფია


2023 წლის სტატისტიკური მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად:

- ✓ სულ საწოლდღე - 4129 ს/დ
- ✓ პაციენტის საშუალო დაყოვნება საწოლზე - 5 ს/დ

სამეანო გინეკოლოგიური დეპარტამენტი

სამეანო-გინეკოლოგიური დეპარტამენტის 2023 წლის სტატისტიკური მონაცემებით, მიღებული პაციენტებიდან გამომდინარე, სულ გატარებული იქნა 3381 საწოლ-დღე.

**სამეან-გინეკოლოგიური დეპარტამენტი
წარმოდგენილია 33 საწოლზე:**



გვერდი 7

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ამბულატორია:

დაყოვნება საწოლი დღის მიხედვით - 3.29

საწოლის ბრუნვა - 35.5

საწოლის დატვირთვის მაჩვენებელი - 117.07

საწოლის მოცდენის საშუალო დრო - 0.11

დატვირთვის წლიური პროცენტი - 39.13

ლაბორატორიული დეპარტამენტი

ლაბორატორიულ დეპარტამენტში სრულდება სტანდარტით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის კვლევები, მაგალითად: კლინიკური; ბიოქიმიური; სეროლოგიური; კოაგულოლოგიური; ციტოლოგიური; იზოსეროლოგიური და იმუნოლოგიური.

კარდიოინტენსიური სამსახური

კარდიოინტენსიური სამსახურის 2023 წლის მონაცემების მიხედვით მიმდინარე წელს მიღებული პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 890 პაციენტი.

წლების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად:

2015 წ.	703 პაციენტი.
2016 წ.	723 პაციენტი.
2017 წ.	709 პაციენტი.
2018 წ.	799 პაციენტი.
2019 წ.	786 პაციენტი.
2020 წ.	802 პაციენტი.
2021 წ.	1176 პაციენტი.
2022 წ.	941 პაციენტი.
2023 წ.	890 პაციენტი.

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“


მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ნევროლოგიური სამსახური.

ა) 2023 წელს ნევროლოგიურ სამსახურში ჰოსპიტალიზებულია 445 (2022 წ.-584 პაციენტი) პაციენტი, რომელმაც 2022 წელთან შედარებით 139 პაციენტით ნაკლები შეადგინა.

ბ) 2023 წელს საწოლდღების მიხედვით გატარებული იქნა 2838 საწოლ-დღე, რომელიც 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით 837 საწოლ-დღით ნაკლებია.



ფსიქიატრიული განყოფილება

ფსიქიატრიის დეპარტამენტი მოიცავს ბავშვთა განყოფილებას (12 საწოლზე) და მოზრდილთა განყოფილებას (30 საწოლზე).

- მოზრდილთა სტაციონარი (18 წლიდან) 779 პაციენტი
- ბავშვთა და მოზარდთა სტაციონარი (18 წლამდე) - 202 პაციენტი
- ამბულატორიული მომართვა (სათემო ამბულატორია - სეხელშვიფო პროგრამა) 1676 პაციენტი
- ამბულატორიული მომართვა (ფასიანი) 980 პაციენტი

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ნეონატოლოგიური დეპარტამენტი:

ნეონატოლოგიური დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით 2022 წელს სულ:

- სულ - 672 (2021 წელს 771) ახალშობილი მათ შორის:
- 586 დროული (87 %)
- 84 დღენაკლული (13 %)

სტატისტიკური მაჩვენებლები

საწოლთა ფონდის გამოყენება

- საწოლთა რაოდენობა 18
- გატარებული საწოლ-დღეების რაოდენობა 2263
- საწოლთა დატვირთვის მაჩვენებელი 125.72
- დატვირთვის % (წლიური დატვირთვა 300 დღე) 42.02 %

სტაციონარული მომსახურების მოცულობა

- გაწერილ ავადმყოფთა რაოდენობა 62
- გარდაცვლილ ავადმყოფთა რაოდენობა 5
- ლეტალობის მაჩვენებელი 7.46 %
- გატარებულ ავადმყოფთა რაოდენობა 67

ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი

ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, 2023 წელს ტრავმატოლოგიურ დეპარტამენტში ჩატარდა 80 (2022 წ.-173) ოპერაცია, რაც 93 ოპერაციით ნაკლებია 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელთან.

- აქედან: 10 (2022 წ.-21) ოპერაცია ჩატარდა გეგმიურად;
- ურგენტული შემთხვევის გამო 70 (2022 წ.-160);
- აქედან ტრავმატოლოგიური ოპერაცია- 8 (2022 წ. -127);
- ყბა-სახის ქირურგიის განყოფილებაში-46 (2022 წ.-46). (იხ.განყოფილების ცხრილი ქვემოთ).

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ტრავმატოლოგია

- ტრავმატოლოგიური დეპარტამენტი მოიცავს - 7 საწოლს
- განყოფილებას ემსახურება 5 მედდა
- ყბასახის ქირურგი - 2 ექიმი
- ორთოპედ-ტრავმატოლოგი - ექიმი

2023 წელს ტრავმატოლოგიურ
დეპარტამენტში ჩატარდა 80
(2022წ-170) ოპერაცია;
(2021წ-314) ოპერაცია;
(2020წ-207) ოპერაცია;

- აქედან: 10(21) ოპერაცია ჩატარდა გეგმიურად,
- ურგენტული შემთხვევის გამო 70(160)
- აქედან ტრავმატოლოგიური ოპერაცია-8(127)
- ყბა-სახის ქირურგიის განყოფილებაში-46(46)

გვერდი 11

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ქირურგიული დეპარტამენტი

ქირურგიული დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, დეპარტამენტში, მოთავსდა 375 (2022 წ. -411) პაციენტი. პაციენტების ამ რაოდენობამ კლინიკაში გაატარა სულ 1850 საწოლ-დღე.

კარდიოქირურგიული განყოფილება

- კარდიოქირურგიული დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, დეპარტამენტში, მოთავსებული პაციენტების და ჩატარებული სამედიცინო ჩარევებით სულ კლინიკაში, გატარდა 1680 (2022 წ. -1758 საწოლ-დღე) საწოლ-დღე.

რეანიმაციული განყოფილება

- რეანიმაციულმა განყოფილებამ 2022 წელს განყოფილების სტატისტიკური მონაცემებით სულ უმკურნალა 340 პაციენტს, რომელმაც საწოლ-დღეების მიხედვით შეადგინა 4 252 საწოლ-დღე.

მიმღებ-გადაუდებელი მედიცინის სამსახური


- მიმღებ გადაუდებელი მედიცინის სამსახური კლინიკაში ფუნქციონირებს 02.02.2012 წლიდან, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევისთვის საჭირო მედიკამენტებით და ინვენტარით.
აღნიშნულ სამსახურში წლის განმავლობაში მიღებული იქნა 10 702 პაციენტი.

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

2023 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 8054 პაციენტი



გვერდი 13


შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

მიღება - სტაციონარიზაცია - გაწერა

Sales



გვერდი 14

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

გმარტვების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კლინიკის შემოსავლების ძირითადი წყარო არის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის შედეგად, პაციენტებზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი (კლინიკა მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო

პროგრამების განხორციელებაში), ასევე, კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეულთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით პაციენტთა მიერ გადახდილი თანხებიდან, პანდემიის პერიოდში, კოვიდ-თერაპიული სამსახურის მიერ გაწეული მომსახურებიდან და სხვა.

სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კანონმდებლობის ცვლილებით გამოწვეული, ძირითად სამედიცინო მომსახურებებზე ფასების მკვეთრი შემცირების გამო, ამასთან, პოსტკოვიდური პერიოდის მძლავრი ზეგავლენის მოქმედებების გამო, კლინიკის 2023 წლის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით, აღინიშნება შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება.

2023 წლის ფაქტობრივი მონაცემებიდან გამომდინარე შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ (შემდგომში „კლინიკა“) საოპერაციო შემოსავლების კუთხით აღიარებულმა შემოსავალმა არასაოპერაციო შემოსავლების ჩათვლით სულ შეადგინა - 13,472,467 ლარი, რაც - 654,601.00 ლარით ნაკლებია 2022 წლის შემოსავლებზე (14,127,068 ლარი). აქედან - 13,039,518 (2022 წელი - 13,709,656) ლარი არის საოპერაციო შემოსავლები, (რაც -670,139 ლარით ნაკლებია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე), ხოლო - 432,949 ლარი (2022 წელი - 417,411) შეადგინა არასაოპერაციო შემოსავლებმა, რომელიც 15,537 ლარით მეტია 2022 წლის, არასაოპერაციო მუხლით განსაზღვრულ შემოსავლებზე. სუფთა საოპერაციო შემოსავალმა არასაოპერაციო შემოსავლების გარეშე შეადგინა - 13,039,518 ლარი.

არასაოპერაციო შემოსავლების კუთხით აღიარებულ - 432,949 ლარში არ არის გათვალისწინებული 20,076.53 ლარი. აღნიშნული თანხა წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის მიხედვით აღრიცხულ შემოსავალს, რომელიც მიიღება საბუღალტრო ოპერაციების შედეგად, საბანკო გადარიცხვების ან კონვერტაციის დროს დაფიქსირებული საკურსო სხვაობებიდან და არ წარმოადგენს მატერიალურად გამოყენებად თანხას.

კლინიკის საოპერაციო შემოსავლების მიხედვით, არასაოპერაციო შემოსავლების კუთხით დამატებული - 432,949.00 ლარი, მიღებული იქნა:

- 11,559.00 ლარი (რეალიზაცია დღგ-ს გარეშე), რომელიც მიღებული იქნა კლინიკის და კლინიკის სამედიცინო პერსონალის სხვადასხვა სამედიცინო-სამეცნიერო პროგრამებში მონაწილეობის შედეგად (მათ შორის ასოციაციიდან ჩარიცხული თანხა);

- 391,612.00 ლარი, რომელიც მიღებული იქნა ფართების იჯარით გაცემისა და ამავდროულად ლუქს-პალატების გაქირავებით;

- 29,778.00 ლარი არის ჩუქებით გადმოცემული მედიკამენტების ღირებულება და მიღებულ მედიკამენტებზე მომწოდებლისგან მიღებულ ფასდაკლება, აგრეთვე სადაზღვევო პრემიების ჩარიცხვა

გვერდი 15

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

გმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

და კლინიკის თანამშრომლების მიმართ განხორციელებული ადმინისტრაციული ჯარიმებით დაქვითული თანხები.

აქედან გამომდინარე, საბუღალტრო მონაცემებით საოპერაციო და არასაოპერაციო ერთობლივმა შემოსავალმა, კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავლების გარეშე 2023 წელს სულ შეადგინა - 13,472,467 (13,039,518 + 432,949) ლარი, რომელიც 4,859%-ით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის შემოსავლებთან. აღნიშნული დასტურდება საბუღალტრო მონაცემებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ იგივე საგადასახადო კოდექსის მიხედვით შემოსავლები აღიარებულია დარიცხვის ანუ გაწეული მომსახურების ფაქტიური შესრულების პერიოდის (კალენდარული პერიოდის) მიხედვით და არ არის თანხვედრაში როგორც ფაქტიურად მიღებულ შემოსავლებთან (მიღებულ თანხებთან) და არც საქართველოში მოქმედ ჯანდაცვის კანონმდებლობასთან.

შინაარსი	წლიური - 2023	წლიური - 2022	გადახრა გრ(2-3)+/-
1	2	3	4
საოპერაციო შემოსავალი	13,039,517.54	13,709,656.19	-670,138.64
სადაზღვევო კომპანიებიდან	58,398.64	88,586.58	-30,187.94
სახელმწიფო პროგრამებით	10,247,822.56	10,268,207.10	-20,384.54
მერიები და დაფინანსებები	166,499.66	316,338.20	-149,838.54
ნაღდი გადახდებით	1,505,202.08	1,993,789.35	-488,587.27
ტერმინალით გადახდილი თანხები	1,061,594.60	1,042,734.96	+18,859.64
არასაოპერაციო შემოსავლები ფაქტიური	432,948.69	417,411.77	+15,536.92
რეალიზაცია დღგ-ს გარეშე	11,559.33	18,686.44	-7,127.11
რეალიზაციის დღგ - ბრუნვებით	391,611.87	380,277.48	+11,334.39
არასაოპერაციო შემოსავლები	29,777.49	18,447.85	+11,329.64
სხვა ფინანსური შემოსავლები	0.00	0.00	0.00
შემოსავალი საკურსო სხვაობებიდან	0.00	0.00	0.00

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების აღიარების სტრუქტურა

2023 წელს შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა - 12,835,971.00 ლარი (2022 წ. - 12,360,954.00 ლარი), ხოლო არასაოპერაციო ხარჯებმა - 1,922,539.39 (ზანგის სესხზე, საპროცენტო ხარჯებისა და ამორტიზაციის გარეშე) ლარი (2022 წ. - 1,735,376.66 ლარი), რაც ჯამში, გასული წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით 4.698%-ით არის მეტი.

საოპერაციო ხარჯები	2023 წ.	2022 წ.	გადაზრდა +/- (გრ.2-გრ.3)
1	2	3	4
	12,835,971	12,360,954	+475,017
მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალა	3,103,760.53	3,526,169.74	-422,409.21
დარიცხული ხელფასი	9,119,365	8,223,197	+896,168
პაციენტებზე დაბრუნებული თანხები	33,693.17	5,383.41	+28,310
შემოსავლების კორექტირება	25,566.64	49,718.06	-24,151.42
გარე სამედიცინო კვლევები და მომსახურება	287,708.78	451,600.86	-163,892.08
პაციენტების კვება	265,877.00	104,885.00	+160,992.00
არასაოპერაციო ხარჯები	1,922,539.39	1,735,379.66	+187,159.73
კომუნალური ხარჯები	719,840.65	767,774.61	-47,933.96
საკომუნიკაციო ხარჯები	39,213.80	37,071.33	+2,142.47
საკანცელარიო ხარჯები	48,183.58	52,464.91	-4,281.33
მივლინების ხარჯები	1,600.00	0.00	+1,600.00
წარმომადგენლობითი ხარჯები	9,083.14	6,225.23	+2,857.91
საბანკო ხარჯები	20,558.70	14,515.77	+6,042.93
კომპიუტერული ხარჯები	37,208.45	20,777.05	+16,431.40
გათხოვა-კონდიცირების ხარჯები	24,275.92	21,361.03	+2,914.89
დაზღვევის ხარჯები	34,925.84	35,884.95	-959.11
საიჯარო ქირის ხარჯი	160,100.00	155,700.00	+4,400.00
რეკლამის ხარჯი	982.90	8,398.04	-7,415.14
სამედიცინო აპარატურის რემონტი	118,790.53	166,027.18	-47,236.65
ლიფტის მოვლისა და რემონტის ხარჯი	10,345.00	13,730.00	-3,385.00
სამეურნეო ინვენტარის რემონტი	32,293.78	23,677.81	+8,615.97

გვერდი 17

შპს ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი (200 010 674)
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია 1000 ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

კორპუსის მიმდინარე რემონტი, სხვადასხვა რემონტები და სამეურნ. ხარჯი და ა.შ.	248,837.69	89,748.90	+159,088.79
აუდიტორული მომსახურება	26,500.00	28,000.00	-1,500.00
დაცვის მომსახურება	2,400.00	2,400.00	0.00
ეპიდემიოლოგიური ხარჯი	4,948.00	3,459.00	+1,489
თეთრეულის ჩამოწერის ხარჯი	15,767.17	0.00	+15,767.17
იურიდიული და ნოტარიული ხარჯი	14,492.23	2,441.81	+12,050.42
საბუღალტრო პროგრამის ხარჯი	0	100.00	-100.00
ლიცენზირების და მოსაკრებლების ხარჯები, საერთაშორისო აკრედიტაციის ხარჯები-TEMOS	44,570.93	1,275.00	+43,295.93
სალარო აპარატის მომსახურების ხარჯი	379.00	210.00	+169.00
ჯანდაცვის ასოციაციის საწევრო გადასახადი	6,000.00	0.00	+6,000.00
სამედიცინო პროგრამის ხარჯი	17,400.00	14,812.50	+2,587.50
საპროექტო ხარჯები	0.00	0.00	0.00
სანიტარულ - ჰიგიენური ხარჯი	120,558.62	118,986.14	+1,572.48
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	38,050.53	41,679.81	-3,629.28
ტექნიკური უსაფრთხოების ხარჯი	7,365.00	6,861.00	+504.00
სამედიცინო ნარჩენების გატანის ხარჯი	21,340.00	17,440.00	+3,900.00
სხვა საგადასახადო ხარჯი	19,572.45	19,856.00	-283.55
საპენსიო ფონდის შენატანი	76,955.48	64,501.59	+12,453.89
სულ არასაოპერაციო ხარჯი	1,922,539.39	1,735,379.66	+187,159.73
სულ საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები	14,758,510.39	14,096,333.66	+662,173.73
სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის (საოპერაციო მოგება)	(1,286,043.16)	30,734.30	(1,255,308.86)
ბანკის სესხის პროცენტის ხარჯი	(1,128,578)	(884,964.03)	+243,613.97
შემოსავლებსა და ხარჯებს შორის არსებული სხვაობა ბანკის სესხის პროცენტის გათვალისწინებით	(2,414,621)	(854,229.73)	+1,560,391.27
ვადაგადაცილებული და უიმედო დებიტორული დავალიანების ჩამოწერა			
ცვეთა და ამორტიზაცია (მათ შორის შენობა-ნაგებობების ცვეთა - დარჩენილ 50 წელზე გაანგარიშებით)	935,058.98	951,497.02	-16,438.04
მოგება - ზარალი (+ -)	(3,349,680.00)	(1,805,726.75)	+1,543,953.25

გვერდი 18

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

2023 წელს საამორტიზაციო ანარიცხებმა სულ შეადგინა - 935,059.00 ლარი, აღნიშნული თანხა შედგება მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების ცვეთის (ამორტიზაცია) თანხით.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კლინიკის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობები აშენებულია და ექსპლუატაციაში შესულია გასული საუკუნის 80-იან წლებში. ვინაიდან, ბევრი ნორმებიდან გამომდინარე, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის ხანგრძლივობის ვადა შეადგენდა საშუალოდ 80 წელს, საამორტიზაციო თანხები დათვლილია სავარაუდო დარჩენილ, საექსპლუატაციო 50 წლიან ხანგრძლივობაზე.

ძირითადი საშუალებების შემენაში განხილულია ისეთი ხარჯები, როგორიცაა:

1	სამედიცინო აპარატურა	860,891.00
2	სამედიცინო ინვენტარი	56,127.00
3	ავეჯი	6,050.00
4	კომპიუტერები	8,256.00
5	სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ინვენტარი	11,475.00
6	ჩილერი	135,843.00
	სულ ჯამი -----	1,078,642.00

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2023 წლის ოქტომბერ-დეკემბრის თვეებში, კლინიკის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების თანხები ფაქტიურად ჩაირიცხება 2024 წელს, მაგრამ ვინაიდან გასულ წლებში, დღეს არსებული კანონიდან გამომდინარე, კლინიკის შემოსავლები და ხარჯები, შესაბამისად მოგება-ზარალის თანხები, გაანგარიშებული იყო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების (კალენდარული წლის თვეების მიხედვით), დარიცხვის მეთოდით, დღეს, პრაქტიკულად შეუძლებელია ამ მეთოდის უგულებელყოფა, აქვე გასათვალისწინებელია სახელმწიფოს მხრიდან თანხების დაგვიანებით ჩარიცხვაც, ამიტომ არამართლობითი იქნება 2023 წლის შემოსავლების და ხარჯების სხვაგვარად კლასიფიცირების შემთხვევა. ამრიგად, 2023 წლის, საოპერაციო სამეურნეო წელი დასრულებულია ზარალით (ბანკის პროცენტისა და ამორტიზაციის თანხების გარეშე), თანხით - (1,286,043.16) ლარის ოდენობით, ხოლო ბანკის პროცენტისა და ამორტიზაციის თანხების გათვალისწინებით ზარალი შეადგენს (3,349,680.00) ლარს

გვერდი 19

შპს "ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი"

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

შპს "ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი"-ს საქმიანობის ეფექტურობისა და ფინანსური
 მდგომარეობის ანალიზი

1. ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

მაჩვენებლები	მაჩვენებლების დანიშნულება - ლარი		მაჩვენებლების ცვლილებები		საშუალოწლიური სიდიდე - ლარი .
	2022	2023	ლარი (გრ.3 - გრ.2)	± % ((გრ.3- გრ.2) : გრ.2)	
1	2	3	4	5	6
1.შემოსავალი (ამონაგები) გაწეული მომსახურებიდან (Revenues)	14,108,620	13,442,689	-665,931	-4,7	13,775,635
2. გაწეული მომსახურების თვითღირებულება (Cost of revenue)	14,096,333	14,758,511	+662,178	+4,7	14,427,422
3. სასაქონლო მოგება (Gross profit) (1-2)	12,287	-1,315,822	-1,328,109	-	651,768
4. კლინიკის მიმდინარე მომსახურებიდან მიღებული სხვა და სხვა შემოსავლები და ხარჯები, გარდა მიღებული პროცენტებისა და გადასახადებისა (Other income and expenses from continuing operations, except interest and debt expense and income tax expense)	18,448	29,778	+11,330	+61,4	24,113
5. EBITDA (მოგება პროცენტებამდე, გადასახადებამდე და ამორტიზაციის ხარჯებამდე, ანუ საოპერაციო მოგება) გრ(3+4)	30,735	-1,286,044	-1,333,217	-	315,624

გვერდი 20

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“
მართვლობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

6. EBIT (მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე, ანუ ამორტიზაციის ჩათვლით) (3+4) - გრ7	-920,762	-2,221,103	-3,141,865	-	
7. სასესხო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტები (Interest and debt expense)	884,964	1,128,578	+243,614	+27,5	1,006,771
8. სხვა ხარჯები. ცვეთა და ამორტიზაცია	951,497	935,059	-16,438	1,73	943,278
მოგება/ზარალი	-3,349,680	-1,805,726			

როგორც ფინანსური მაჩვენებლების 2023 წლის მიმოხილვიდან ჩანს, შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ შემოსავლები და ხარჯები მნიშვნელოვნად განსხვავდება 2022 სამეურნეო წლისაგან. აქედან პირველ რიგში მკვეთრად არის გამოხატული 2023 წელს საოპერაციო შემოსავლების კლება 2022 საბაზისო წელთან შედარებით, რომელმაც 670,138.00 ლარით ნაკლები შეადგინა.

შემოსავლების კლების ძირითადი ინდიკატორია ე.წ. „ღიარჯი“ სისტემაზე გადასვლა, აგრეთვე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული სხვადასხვა დადგენილებები, რაც მუდმივად ზღუდავს კლინიკაში, სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების მიერ პაციენტების შემოყვანას და ეს ფაქტი 2023 წელს ხშირად იყო გამოყენებული კლინიკის მიმართ.

ამ ფაქტის დასტურია თუნდაც ის, რომ კლინიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა პაციენტების შემოდინება, რასაც ადასტურებს კლინიკის საწოლდღების რაოდენობის შემცირებას. კერძოდ: 2022 წელს კლინიკაში დაფიქსირდა 45,443 საწოლდღე, ხოლო 2023 წელს 41,222 საწოლდღე, რაც 4,221 საწოლდღით ნაკლებია 2022 წლის მაჩვენებელთან.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 41,222 საწოლდღის გატარებით კლინიკამ საოპერაციო შემოსავლების კუთხით მიიღო საშუალოდ 13,039,517.00 ლარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი საწოლდღის საშუალო-მიახლოებითი შემოსავალი შეადგენს 316,32 ლარს, ხოლო 2022 წლის საწოლდღების მაჩვენებელთან არსებული სხვაობის გამრავლებით საშუალო-მიახლოებითი შემოსავალზე (4,221* 316.22) მივიღებთ ასევე საშუალო მიახლოებით თანხას 1,334,765.00 ლარს.

ანუ ეს იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკის შედეგად კლინიკამ, დატვირთვიანობის შემცირების შედეგად, საშუალოდ დაკარგა სულ მინიმუმ 1,334,765.00 ლარის შემოსავალი.

გვერდი 21

შპს ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი
მართვლობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ამასთან, ყველა კლინიკას, რომელიც ემსახურება ფსიქიატრიულ პაციენტებს გაეზარდათ ასეთი კატეგორიის პაციენტების მკურნალობის მომსახურებაზე დაფინანსება, ხოლო ჩვენ, მთავრობის დადგენილებით შეგვიმცირდა.

ზემოაღნიშნული ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ 2022 სამეურნეო წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი როგორც საოპერაციო (475,017) ასევე არასაოპერაციო (187,159) ხარჯები. საოპერაციო ხარჯების ზრდა ძირითადად გამოწვეულია სამედიცინო პერსონალზე ხელფასების იძულებითი (მთავრობის დადგენილება) ზრდით და ასევე კლინიკის სამეურნეო საქმიანობისათვის და მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებლობების, შესაძენი ფასების ზრდით.

აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მცირედ, მაგრამ მაინც გაიზარდა ძირითადი საშუალებების მუხლიც, ვინაიდან ასევე, მთავრობის დადგენილების შესაბამისად ყველა იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება მოგვიწია, რაც ხელს არ შეუშლიდა სულ მცირე კლინიკის ფუნქციონირებას თუ არა იძულებით დაკეტვას. ამ დადგენილების (სახანძრო უსაფრთხოება და ა.შ.) შესასრულებლად, კლინიკის ხარჯებიდან წინასწარი დაგეგმვის გარეშე დაიხარჯა თანხები, ასევე არის სხვა დაუგეგმავი ხარჯები, რომლებიც აღრიცხულია ხარჯვითი ნაწილის „მიმდინარე რემონტის ხარჯების“-ს მუხლით.

კლინიკის ქონების სტრუქტურა და მისი ფორმირების წყაროები

მაჩვენებლები	მაჩვენებლების მნიშვნელობა				ცვლილებები	
	ლარი		% -ში ბალანსის ვალუტასთან თანაფარდობით		ლარი (გრ.3- გრ.)	± % ((გრ.3- გრ.2) : გრ.2)
	31.12.2022	31.12.2023	საანალიზო პერიოდის დასაწყისში (31.12.2022)	საანალიზო პერიოდის ბოლოს (31.12.2023)		
1	2	3	4	5	6	7
აქტივები:						
1. . არასაბრუნავი აქტივები (ძს+სს/მარაგ+ავანს+ხარჯ)	32 975 137	33 219 238	92,3	92,3	+244 101	+0,7
მათ შორის ძირითადი საშუალებები	31 862 231	32 513 535	89,1	90,3	+651 304	+2
არამატერიალური აქტივები	3 286	—	—	—	—	—
2. საბრუნავი საშუალებები სულ:(ფული+მოთხ.+სხვა მოკლ.)	2 764 953	2 787 181	7,7	7,7	+22 228	+0,8
მათ შორის მარაგები	680 369	624 878	1,90	1,74	-55 492	-8,15
დებიტორული დავალიანება	2 639 145	2 752 693	7,4	7,6	+113 548	+4,3
ფულადი საშუალებები, მათი ეკვივალენტები და	110 115	16 206	0,3	<0,1	-93 909	-85,3

გვერდი 22

შპს ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

მოკლევადიანი დაბანდებები						
პასივი:						
1. საკუთარი კაპიტალი	734 612	11 917 651	2,1	33,1	+11 183 039	+16,2 ჯერ
2. სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	27 558 451	16 243 649	77,1	45 11	-11 314 802	-41,1
მათ შორის სესხები	13 486 719	5 377 956	37,7	14,94	-8 108 763	-60,1
3. სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	7 447 027	7 845 120	20,8	21,79	+398 093	+5,3
მათ შორის სესხები	1 494 570	650 468	4,2	2,4	-644 102	-43,1
ბალანსის გალუტა:	35 740 090	36 006 419	100	100	+266 329	+0,7

საბუღალტრო მონაცემებისა და ბალანსის მიხედვით მიხედვით, კლინიკაში აქტივების ზრდის
სიდიდე პირველ რიგში დაკავშირებულია აქტივების შემდეგი პოზიციების ზრდასთან

- ძირითადი საშუალებები (ჩამოწერების გათვალისწინებით) – 651 304 ლარი. (84,9%)
 - დებიტორული დავალიანება – 113 548 ლარი. (14,8%)
- ამავდროულად ბალანსის პასივშიც არის მნიშვნელოვანი ცვლილებები ზოგიერთი საბალანსო
მუხლის მიხედვითაც: მაგალითად:
- საწესდებო კაპიტალის ზრდა - 11 183 039 ლარი. (87,9%)

P.S. სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში გადმოტანილია საბალანსო მუხლი
გაუნაწილებელი მოგება 10 516 744 ლარის ოდენობით.

აღნიშნული თანხა შედგება გადაფასებების (სასესხო ვალდებულებების, მომწოდებლების
დავალიანებების) შედეგად მიღებული არარეალური თანხებისაგან და არ წარმოადგენს
გასული წლების შედეგად მიღებულ მოგებებს.
ამ ცხრილში, მუხლი „სულ გრძელვადიანი ვალდებულებები“ თანხით 16 243 649.00 ლარი
იზოფრება შემდეგნაირად: $5,377,956 + 10,516,744 + 68,255 + 280,694$

რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია კლინიკის ლიკვიდურობის კოეფიციენტის გასამყარებლად ეს
არის საწესდებო კაპიტალის ზრდა, რომელიც 2023 წლის განმავლობაში გაიზარდა 16,2-ჯერ ანუ
11,183,039.00 ლარით და შეადგინა 11,917,651 ლარი.

გვერდი 23

შპს ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი
 მართვლობის ანგარიშგება

მანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

3.3 კლინიკის სუფთა აქტივების ღირებულების შეფასება

მაჩვენებლები	მაჩვენებლების მნიშვნელობა				ცვლილებები	
	ლარი		% -ში ბალანსის ვალუტასთან თანაფარდობით		ლარი (გრ.3-გრ.2)	± % ((გრ.3- გრ.2) : გრ.2)
	31.12.2022	31.12.2023	საანალიზო პერიოდის დასაწყისში (31.12.2022))	საანალიზო პერიოდის ბოლოს (31.12.2023))		
1	2	3	4	5	6	7
1.კაპიტალი და რეზერვები	734 612	11 917 651	2,1	33,1	+11 183 039	+16,2 ჯერ
2. საწესდებო კაპიტალი	734 612	11 917 651	2,1	33,1	+11 183 039	+16,2 ჯერ
3. სუფთა აქტივების გადამეტება საწესდებო კაპიტალთან (გრ.1-გრ.2)	0	0	-	-	-	-

საანალიზო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2023 წ.), კლინიკის სუფთა აქტივების სიდიდე, პრაქტიკულად ემთხვევა კლინიკის საწესდებო კაპიტალს, რომელიც 16,2 ჯერ გაიზარდა. ასეთი თავსებადობა პრაქტიკულად ამყარებს კლინიკის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობას და ტოვებს იმედს მომდევნო პერიოდის საქმიანობის განვითარებაზე.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/საოპერაციო შემოსავალი)	2023	2022
	4,02	7,21

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ზემოაღნიშნულ ცხრილში, საოპერაციო მოგების მარჟის გამოთვლის დროს გათვალისწინებულია ის რისკები და ზემოქმედების კოეფიციენტები რაც გამოწვეული იყო საქართველოში და მთელს მსოფლიოში, კოვიდ პანდემიის დროს განხორციელებული ეკონომიკური კრიზისის პერიოდში.

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“ მართვლობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

განვითარების გეგმები

2023 წლის სამედიცინო და საფინანსო მონაცემები კლინიკას საშუალებას აძლევს მომდევნო წელს დაგეგმოს არსებული სამედიცინო სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების ღონისძიებები, ასევე, ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებული სამუშაოები, თუ კანონმდებლობით რამე არ შეიგნავს.

2024 წლისათვის დაგეგმილია უახლესი აპარატურის შეძენა, ასევე ახალი სამედიცინო მიმდინარეობების დანერგვა, რაც თავისთავად მოითხოვს კლინიკაში დასაქმებული კადრების გადამზადებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეს დამატებითი ფუნქციები კლინიკას მოუტანს გარკვეული ტიპის დამატებით შემოსავლებს 2023 წელთან შედარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეს დამატებითი ფუნქციები კლინიკას მოუტანს გარკვეული ტიპის დამატებით შემოსავლებს 2022-23 წლებთან შედარებით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 წლის 31 დეკემბერს, დასრულებული წლისთვის კლინიკის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების გასხვისება.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კლინიკა საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კლინიკის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი - არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის კლინიკა საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კლინიკა საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. კლინიკის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კლინიკა შეძლებისდაგვარად ახორციელებს რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

საპროცენტო რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების

გვერდი 25

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“
დირექტორი



დ. ხაჩარაძე